№42 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის N1421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 ოქტომბრის N1421 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება, განკარგულების ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-2 პუნქტი:

„2. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე დადებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებებზე საჭიროების შემთხვევაში ანგარიშსწორება განახორციელოს 2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებებიდან.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**